ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს

მოსამართლეს - ქალბატონ მერი გულუაშვილს

თბილისის საქალაქო სასამართლოს
ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია
შემოსვლის თარიღი 10.03.20
შემოსვლის დრო 6
შემოსვლის № 35177/1
ფურცლოვანი

N 3/9359-19 საქმეზე მესამე პირის -

შპს „არ ემ ჯი აურამაინ-ის“ (ს/კ 405168740)

(მის: საქართველო, თბილისი, ალექსიძის ქ. 1)

წარმომადგენლები: მიხეილ სამხარაძე (პ/ნ 8001008737)

ალექსანდრე დევიძე (პ/ნ 01024052123)

თეიმურაზ ოჩიგავა (პ/ნ 01023001356)

წერილობითი მოსაზრება (პასუხი)

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის შესახებ ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივის“ სარჩელზე (საქმის N 3/9359-19)

სასამართლოს გადაწყვეტილება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის შესახებ ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივის“ სარჩელზე (საქმის N 3/9359-19) მესამე პირად შპს „არ ემ ჯი აურამაინი“ ჩართვასთან დაკავშირებით აუცილებელი იყო, ვინაიდან გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ადგენს კომპანიის უფლებებსა და მოვალეობებს, შესაბამისად, საბოლოოდ მიღებული გადაწყვეტილება პირდაპირ აისახება და გავლენას მოახდენს კომპანიის კანონიერ ინტერესებსა და უფლებებზე.

შესაბამისად, ვსარგებლობთ, რა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 16-ე მუხლით დაცული მოპასუხის ყველა უფლებით, მიგვაჩნია, რომ ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა-ს“ სარჩელი არის დაუსაბუთებელი და არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

1. ფაქტობრივი გარემოებების შესახებ პოზიცია

1.1. მოსარჩელის მიერ სარჩელში მოყვანილ 1-ლ, მე -2, მე -5, მე -14, მე -15, ფაქტობრივ გარემოებებს ვეთანხმებით და მიგვაჩნია, რომ აღნიშნული უკავშირდება დავის საგანს. რაც შეეხება მე -11 ფაქტობრივ გარემოებას, აღნიშნულს ვეთანხმებით ნაწილობრივ. კერძოდ, მოსარჩელე მე-11 ფაქტობრივ გარემოების ნაწილში არასწორად მიუთითებს სამართალდარღვევებზე. მე -11 ფაქტობრივ გარემოებაში ჩამოთვლილ დარღვევებთან დაკავშირებით კანონიერ ძალაშია შესული ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2019 წლის

2 აგვისტოს დადგენილება (საქმე N4/ა-101-19). სასამართლომ არ დაადგინა კომპანიის მხრიდან ასკ-ს 51^2 და 53^2 მუხლების დარღვევა ისე როგორც ამას მოსარჩელე მიუთითებს, კომპანია სამართალდამრღვევად იქნა მიჩნეული მხოლოდ სალექარის მშნებელობისთვის ასკს 79^7 მუხლის საფუძველზე და ასკს 51 -ე მუხლის დარღვევისთვის. ამასთან, რაც შეეხება ნარჩენების მართვის კოდექსის მოთხოვნების დარღვევას, თბილისის საქალაქო სასამართლოს 08.07.2019 წლის N 4/7498-19 საქმეზე დადგენილებით კომპანიის მიმართ შეწყდა ნარჩენების მართვის კოდექსის 44 - ე მუხლით დაწყებული წარმოება და კომპანია მიჩნეულ იქნა სამართალდამრღვევად მხოლოდ ნარჩენების მართვის კოდექსის 43 - ე მუხლის მეორე ნაწილით. (მტკიცებულება: დანართი 1: ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 2 აგვისტოს დადგენილება (საქმე N4/ა-101-19, დანართი 2: ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს 08.07.2019 წლის დადგენილება, N 4/7498-19 საქმე).

1.2. მოსარჩელის მიერ სარჩელში მოყვანილ მე - 3, მე -4, მე -6, მე -7, მე -8, მე -9, მე -10, მე - 12, მე -13, მე -16, მე -17 ფაქტობრივ გარემოებებს არც ვეთანხმებით და არც ვუარყოფთ. მიგვაჩნია რომ აღნიშნულ ფაქტობრივი გარემოებები განსახილველი დავის საგანს არ უკავშირდება.

2. სასარჩელო მოთხოვნებთან დაკავშირებით კომპანიის პოზიცია

2.1. „შპს „არ ემ ჯი აურამაინის“ ბექთაქარის ოქრო-პოლიმეტალური საბადოს მიმდებარე ტერიტორიაზე 17800მ^3 მოცულობის რეზერვუარი-სალექარის მოწყობის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2019 წლის 24 ოქტომბრის N2-1010 ბრძანების ბათილად ცნობასთან დაკავშირებით;

შპს „არ ემ ჯი აურამაინმა“ 2017 წლის 14 ივნისს სალექარის მშნებელობასთან დაკავშირებით მიმართა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს და დაიწყო 27 300 მ3 მოცულობის (17800მ^3 და 9500 მ^3) გუბურა-სალექარის მშენებლობასთან დაკავშირებით სანებართვო პროცედურები. წერილის პასუხად, იმ დროს მოქმედი გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, 2017 წლის 28 ივნისს სამინისტროს N5724 წერილით გვეცნობა, რომ სალექარის მოწყობა არ ექვემდებარებოდა გარემოზე ზემოქმედების ნებართვას. (მტკიცებულება: დანართი 3: შპს „არ ემ ჯი აურამანის“ 2017 წლის 14 ივნისის 20/1 წერილი დანართი 4: საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს 2017 წლის 28 ივნისის N 5724 წერილი).

იმის გამო, რომ ახალი გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის შესაბამისი მუხლები და დანართები ამოქმედდა 2018 წლის 1 იანვრიდან, აღმოჩნდა რომ კომპანიის მიერ სალექარის მშნებელობისათვის საჭირო იყო გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღება. გამომდინარე იქიდან, რომ კომპანიას ერთის მხრივ დაწყებული ჰქონდა მშნებელობა (მშენებლობის სამუშაოებს აგრძელებდა მათ შორის კოდექსის ამოქმედების შემდეგ - 2018 წლის 1 იანვრის შემდეგ), ხოლო მეორეს მხრივ სალექარის ექსპლუატაციის ეტაპზე ადგილი ექნებოდა გარემოზე ზემოქმედებას, შპს „არ ემ ჯი აურამაინის“ მიერ მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღება ახალი გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის შესაბამისად.

შპს „არ ემ ჯი აურამაინმა" 2019 წლის 21 მარტს მიმართა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და წარუდგინა მხოლოდ 17800 მ3 მოცულობის სალექარის სკოპინგის ანგარიში (მოქმედი გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის თანახმად 9500 $მ^3$ მოცულობის ავზი არ საჭიროებს სანებართვო პროცედურებს), თუმცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გარეშე სალექარის მშნებლობის გამო, კომპანიის მიმართ დაიწყო ადმინისტრაციული სამართალდაღვევის საქმის წარმოება ასკ-ს 79^7 მუხლის პირველი ნაწილით და საქმე განსახილველად გადაეგზავნა ბოლნისის რაიონულ სასამართლოს. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ სასამართლოს მიერ აღნიშნულ საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე არ გასცა სკოპინგის ანგარიშთან დაკავშირებით დასკვნა. ბოლნისის რაიონული სასამართლოს მიერ 2019 წლის 2 აგვისტოს (საქმე N4/ა-101-19) დადგინდა ის ფაქტობრივი გარემოება, რომ კომპანია სალექარი-ავზის მშნებელობას ახორციელებდა ისე, რომ არ ჰქონდა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება, რის გამოც კომპანია დაჯარიმდა 7000 ლარით სამინისტროს მიერ სკოპინგის დასკვნა გაცემულ იქნა მხოლოდ მას შემდეგ რაც დადგენილ იქნა სამართალდარღვევის ფაქტი სალექარის მშნებლობასთან დაკავშირებით, კერძოდ 2019 წლის 2 აგვისტოს სასამართლოს დადგენილების შემდეგ, 2019 წლის 24 ოქტომბერს. მიუხედავად იმისა, რომ სამართალდარღვევა სახეზე იყო, ექსპლუატაციის პროცესში გარემოზე ზემოქმედების შემცირების მიზნით კომპანიას გასაჩივრებული აქტით დაევალა გარემოზე ზემოქმედების ანგარიშის მომზადება

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60^1 მუხლის თანახმად ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, იმ შემთხვევაში თუ აქტი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ის ფაქტი, რომ ავზი სკოპინგის გაცემის დროს მშნებლობის პროცესში იყო, აღნიშნული თავისთავად (აპრიორი) არ ხდის საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2019 წლის 24 ოქტომბრის N2-1010 ბრძანებას კანონსაწინააღმდეგოს. სკოპინგის ანგარიში მართალია მომზადდა მშენებლობისთვის, თუმცა გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში, რომელიც ჩაბარებულია 2020 წლის 28 თებერვლის N 18 წერილით უკვე ასახავს ადგილზე არსებულ მდგომარეობას და ეხება სალექარის ექსპლუატაციის საკითხებს, ექსპლუატაცია კი ეხება არა განხორციელებულ საქმიანობას არამედ დაგეგმილ საქმიანობას. (დანართი 9 შპს „არ ემ ჯი აურამაინის" 2020 წლის 28 თებერვლის N 18 წერილი და დანართი 5 „შპს „არ ემ ჯი აურამაინის" ბექთაქარის ოქრო-პოლიმეტალური საბადოს მიმდებარე ტერიტორიაზე 17800$მ^3$ მოცულობის რეზერვუარი-სალექარის ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგაოიში")

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე 5 მუხლის პირველი ნაწილისა და I დანართის 21 პუნქტის თანახმად გზშ-ს ექვემდებარება „კაშხლის ან/და სხვა ნაგებობის მშენებლობა და ექსპლუატაცია, რომელიც წყლის შესაკავებლად ან მუდმივად დასაგროვებლად გამოიყენება და რომლის მიერ შეკავებული ან დაგროვებული წყლის მოცულობა 50 000 მ3-ზე მეტია." ამავე კოდექსის დანართის 9.9 პუნქტი ითვალისწინებს ანალოგიურ საქმიანობას თუმცა ნაკლებ მოცულობის გათვალისწინებით - ,კაშხლის ან/და სხვა ნაგებობის/მოწყობილობის მშენებლობა, რომლის მშენებლობა მიზანშეწონილია წყლის

შეკავების ან წყლის გრძელვადიანი დაგროვების მიზნით და რომლის მიერ შეკავებული ან დაგროვებული წყლის მოცულობა 10 000 მ3-ზე მეტია.“

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე -7 მუხლის მე -13 პუნქტის თანახმად თუ საქმიანობის განმახორციელებელი გეგმავს კოდექსის II დანართით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებას და მიაჩნია, რომ ამ საქმიანობისთვის აუცილებელია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა, იგი უფლებამოსილია სამინისტროს ამ კოდექსის მე-8 მუხლით დადგენილი წესით წარუდგინოს სკოპინგის განცხადება (სკრინინგის ეტაპის გავლის გარეშე). ასეთ შემთხვევაში გამოიყენება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემისთვის კოდექსით დადგენილი მოთხოვნები. მიუხედავად იმისა, რომ 17 800 $м^3$ ავზი 50000^3 -ზე ნაკლებია და აპრიორი არ ექვემდებარება გზშ-ს, კომპანიამ მაღალი გარემოსდაცვითი სტანდარტით ისარგებლა და მიზანშეწონილად ჩათვალა სამინისტროსთვის წარედგინა არა სკრინინგის არამედ სკოპინგის ანგარიში. გასათვალისწინებელია, რომ კომპანიის მხრიდან სკრინინგის წარდგენის შემთხვევაში, სამინისტროს შეიძლება დაედგინა, რომ აღნიშნული ავზის ექსპლუატაცია (მისი სიმარტივის) საერთოდ არ საჭიროებდა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას. მას შემდეგ რაც წარდგენილი იქნა სკოპინგის ანგარიში სამინისტრო შეზღუდული იყო იმ ნაწილში, რომ უარი ეთქვა საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასებისადმი დაქვემდებარებაზე.

ის რომ სალექარის მშენებლობა ჯერ სრულად დასრულებული არ არის ამას ადასტურებს, თავად მოსარჩელე მე-5 ფაქტობრივ გარემოებაში, აგრეთვე 2019 წლის 17 აპრილის „შპს „არ ემ ჯი აურამაინის“ რეზერვუარი-სალექარის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის შესახებ სხდომის ოქმი“ და „შპს „არ ემ ჯი აურამაინის“ ბექთაქარის ოქრო-პოლიმეტალური საბადოს მიმდებარე ტერიტორიაზე 17800$м^3$ მოცულობის რეზერვუარი-სალექარის ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში“რომელიც წარდგენილ იქნა 2020 წლის 28 თებერვალს, იხ. გზშ-ს გვ.22. შესაბამისად, როგორც სალექარის მშნებელობის დასრულებას, აგრეთვე მის შემდგომ ექსპლუატაციას ესაჭიროება გარემოზე ზემოქმედების შეფასება და სამინისტროს გადაწყვეტილება (სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ) ამ ნაწილში არის კანონიერი, შესაბამისად მოსარჩელის მოთხოვნა სკოპინგის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნასთან დაკავშირებით არ უნდა დაკმაყოფილდეს.

ამასთან, გაუგებარია, გარემოსდაცვითი მიმართულებით მომუშავე ორგანიზაცია რატომ არის ორიენტირებული იმაზე, რომ კომპანიამ საქმიანობა განახორციელოს გარემოზე ზემოქმედების ანგარიშის გარეშე. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება კომპანიას დაავალდებულებს სალექარის ექსპლუატაცია განახორციელოს მხოლოდ გარკვეული პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში, შეამციროს გარემოზე ზემოქმედება და განახორციელოს გზშ-თი განსაზღვრული შემარბილებელი ღონისძიებები.

2.2. მოსარჩელის შუამდგომლობა - „შპს „არ ემ ჯი აურამაინის“ ბექთაქარის ოქრო-პოლიმეტალური საბადოს მიმდებარე ტერიტორიაზე 17 800$м^3$ მოცულობის რეზერვუარი-სალექარის მოწყობის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2019 წლის 24 ოქტომბრის N2-1010 ბრძანების მოქმედების შეჩერებასთან დაკავშირებით;

მიგვაჩნია, რომ აღნიშნული შუამდგომლობა არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

17 800 $м^3$ მოცულობის ავზი განკუთვნილია შახტური წყლების შესაგროვებლად, დასაწმენდად რათა არ მოხდეს მიწისქვეშა წყლების დაბინძურება ერთის მხრივ ხოლო მეორეს მხრივ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებითი სამუშაოები განხორციელდეს უსაფრთხოდ. აღნიშნული დასაბუთება მოცემულია გზშ -ს „არაქმედების ალტერნატიული ვარიანტი/რეზერვუარი - სალექარის მოწყობის საჭიროების დასაბუთების“ თავში (იხ. გვ.11). იმ შემთხვევაში თუ გასაჩივრებული აქტის მოქმედება შეჩერდება, კომპანია ვერ შეძლებს დროულად გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებას, რაც თავის მხრივ გამოიწვევს კომპანიის სალიცენზიო საქმიანობის შეჩერებას და ამ ლიცენზიით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობას. ამასთან კომპანიას მოუწევს შახტაში არსებული წყლების შეკავება, რამაც შესაძლებელია გამოიწვიოს მიწისქვეშა სამთო გვირაბების დატბორვა რაც თავის მხრივ უარყოფითად იმოქმედებს საბადოს უსაფრთხოებაზე. (მტკიცებულება დანართი 5: „შპს „არ ემ χი აურამაინის“ ბექთაქარის ოქრო-პოლიმეტალური საბადოს მიმდებარე ტერიტორიაზე 17800$მ^3$ მოცულობის რეზერვუარი-სალექარის ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში“; დანართი 6: შპს „არ ემ χი აურამაინზე“ გაცემული სასარგებლო წიაღისეულის ლიცენზია N 1004034, დანართი 7: სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2018 წლის 8 ოქტომბრის N 1445/ს ბრძანება ათვისების გეგმის დამტკიცების თაობაზე დანართი 8: სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 19 ოქტომბრის N 1675 ბრძანება).

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29 - ე მუხლის მე -2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედება არ შეჩერდება, თუ აღსრულების გადადება გამოიწვევს მნიშვნელოვან მატერიალურ ზიანს, ან მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნის საზოგადოებრივ წესრიგს ან უსაფრთხოებას. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ არ უნდა დაკმაყოფილდეს მოსარჩელის შუამდგომლობა ამ ნაწილში.

დანართები:

დანართი 1: ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 2 აგვისტოს დადგენილების საქმე N4/ა-101-19 ასლი 13 (ცამეტი) ფურცელი

დანართი 2: ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს N 4/7498-19 საქმე 08.07.2019 წლის დადგენილების ასლი - 6 (ექვსი) ფურცელი

დანართი 3: შპს „არ ემ χი აურამანის“ 2017 წლის 14 ივნისის 20/1 წერილის ასლი - 1 (ერთი) ფურცელი

დანართი 4: საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს 2017 წლის 28 ივნისის N 5724 წერილის ასლი - 1 (ერთი) ფურცელი

დანართი 5: „შპს „არ ემ χი აურამაინის“ ბექთაქარის ოქრო-პოლიმეტალური საბადოს მიმდებარე ტერიტორიაზე 17800$მ^3$ მოცულობის რეზერვუარი-სალექარის ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის“ ასლი - ელ. ვერსია 1 (CD)

დანართი 6: შპს „არ ემ ჯი აურამაინზე“ გაცემული სასარგებლო წიაღისეულის ლიცენზიის N 1004034 ასლი - 3 (სამი) ფურცელი

დანართი 7: სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის ათვისების გეგმის დამტკიცების თაობაზე 2018 წლის 8 ოქტომბრის N 1445/ს ბრძანების ასლი - 2 (ორი) ფურცელი

დანართი 8: სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 19 ოქტომბრის N 1675 ბრძანების ასლი - 3 (სამი) ფურცელი

დანართი 9: შპს „არ ემ ჯი აურამაინის“ 2020 წლის 28 თებერვლის N 18 წერილი 2 (ორი) ფურცელი

დანართი 10: მინდობილობა N7, 09/03/2020 - 1 (ერთი) ფურცელი

სულ დანართი 32 (ოცდათორმეტი) ფურცელი

პატივისცემით,

შპს „არ ემ ჯი აურამაინი“

წარმომადგენლები: მიხეილ სამხარაძე

ალექსანდრე დევიძე

თეიმურაზ ოჩიგავა

09.03.2020

1605100190030744 57
საქმე №4/ა-101-19

5357717980930

www.info.court.ge

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა
საქართველოს სახელით

2 აგვისტო, 2019 წელი ქ. ზოლნისი

ზოლნისის რაიონული სასამართლო
მოსამართლე პაატა ფხალაძე
სხდომის მდივანი თამთა ჩულუხიძე

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემდგენი - საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი;

წარმომადგენელი - ზვიად ზვიადაური, კონსტანტინე ზარანდია, მიხეილ ბურნაძე

ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირი - შპს ,,არ ემ ჯი აურამაინი" წარმომადგენლები- მიხეილ სამხარაძე, ალექსანდრე დევიძე, მამუკა ყორჟოლაძე

სასამართლომ განიხილა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი N051570, N 051571, N 51572 თანდართულ მასალებთან ერთად, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 51-ე, 51^2-ე, 53^2-ე, 79^7-ე მუხლებით გათვალისწინებული ქმედებისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადების თაობაზე და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

1. ზოლნისის რაიონულ სასამართლოში 2019 წლის 1 ივლისს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტიდან განსახილველად შემოვიდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის მასალები შპს ,,არ ემ ჯი აურამაინი"-ს მიმართ, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 51-ე, 51^2-ე, 53^2-ე, 79^7-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ფაქტთან დაკავშირებით.

2. წარმოდგენილი სამართალდარღვევის მასალებით დადგენილია, რომ:

2.1. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის გარემოს ინტეგრირებული კონტროლის სამსახურის უფლებამოსილმა პირმა 2019 წლის 18 ივნისს შეადგინა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი №051570, N 051571 და N 051572 შპს ,,არ ემ ჯი აურამაინი"-ს მიმართ, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 51-ე და 51^2-ე, 53^2-ე და 79^7-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტთან დაკავშირებით.

წარმოდგენილი N051570 სამართალდარღვევის ოქმის თანახმად, შპს ,,არ ემ ჯი აურამაინი"-ს მიერ მიწის ექსკავაციისას, კერძოდ გვირაბის პორტალის შესასვლელის, სალექარების, გვირაბის გაყვანის შედეგად წარმოქმნილი ფუჭი ქანების განთავსების, სამშენებლო მოედნამდე მისასვლელი გზის, სამშენებლო მოედნის მიმდებარედ ავტოსადგომის მოწყობისა და სხვა დამხმარე ნაგებობების მშენებლობისას, არ განუხორციელებია ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა და დასაწყობება ,,ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენების და რეკულტივაციის შესახებ" ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N 424 დადგენილების მე-3 მუხლის მე-2 და მე-5 პუნქტის, ასევე მე-11 პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად. ამასთან, როგორც საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 29 მაისის N 185054 წერილით დგინდება სამშენებლო მოედნის მიმდებარედ არსებულ ტერიტორიასთან დაკავშირებით, სადაც მოწყობილია ავტოსადგომი (ფართობი 500მ²) საკუთრების უფლება რეგისტრირებული არ არის. ოქმის თანახმად, შპს ,,არ ემ ჯი აურამაინი"-ს ქმედება დაკვალიფიცირდა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 51-ე და 51^2-ე მუხლებით.

წარმოდგენილი N051571 სამართალდარღვევის ოქმის თანახმად, შპს ,,არ ემ ჯი აურამაინი"-ს სამშენებლო მოედნის შემოღობილი ტერიტორიის მიმდებარედ მოწყობილი აქვს ავტოსადგომი, სადაც მოხსნილია ნიადაგი და ტერიტორია მოშანდაკებულია. აღნიშნულ უძრავ ნივთზე საკუთრების უფლება რეგისტრირებული არ არის და აღნიშნული ნაკვეთი წარმოადგენს სახნავის კატეგორიის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწას, შესაბამისად კომპანიის მიერ მიწის გამოყენება ხდება არამიზნობრივად. ოქმის თანახმად, შპს ,,არ ემ ჯი აურამაინი"-ს აღნიშნული ქმედება დაკვალიფიცირდა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 53^2-ე მუხლით.

წარმოდგენილი N051572 სამართალდარღვევის ოქმის თანახმად, განხორციელებული ინსპექტირების შედეგად დადგინდა, რომ შპს ,,არ ემ ჯი აურამაინი"-ს წყლების შესაგროვებლად ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ბერთაკარის მიმდებარედ, მოწყობილი აქვს 17800მ³ მოცულობის სალექარი, თუმცა აღნიშნული საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებით არ გააჩნია გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება. ოქმის მიხედვით, შპს ,,არ ემ ჯი აურამაინი"-ს აღნიშნული ქმედება დაკვალიფიცირდა საქართველოს

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79[7]-ე მუხლის პირველი ნაწილით.

3. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემდგენი ორგანოს წარმომადგენლის განმარტება:

3.1. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის წარმომადგენლები დაეთანხმნენ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმებს, მასში მითითებულ გარემოებებს და მოითხოვეს შპს ,,არ ემ ჯი აურამაინი"-ს სამართალდამრღვევად ცნობა ოქმში მითითებული მუხლების საფუძველზე და მის მიმართ ადმინისტრაციული სახდელის შეფარდება.

4. ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის განმარტება:

4.1. ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ შპს ,,არ ემ ჯი აურამაინს" არ განუხორციელებია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79[7]-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება. მათი განმარტებით, შპს ,,არ ემ ჯი აურამაინმა" 2017 წლის 14 ივნისს სალექარის მშენებლობის შესახებ მიმართა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს, აღნიშნული უწყებიდან მიღებული წერილიდან ირკვევა, რომ უწყებამ მათ განუმარტა, ,,გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის ,,ო" პუნქტის შესაბამისად ეკოლოგიურ ექსპერტიზას ექვემდებარება ,,წყალსაცავის (10 000 მ[3]-ის და მეტი მოცულობის) მოწყობა. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშით კი წარმოდგენილია საბადოს დამუშავების და სალექარის მოწყობის პროექტები. გზშ-ს ანგარიშის მიხედვით საპროექტო წყალსაცავის დანიშნულებაა საწარმოო ჩამდინარე წყლების შეგროვება/გაწმენდა და მისი შემდგომი გამოყენება საბადოს მიწისქვეშა დამუშავების დროს.მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, საბადოს დამუშავება და სალექარის მოწყობა არ განიხილება, როგორც ეკოლოგიურ ექსპერტიზას დაქვემდებარებული საქმიანობა. გამომდინარე აქედან სამინისტროს მიერ დაბრუნებული იქნა საპროექტო დოკუმენტაცია. სამინისტროსათვის წარდგენილი ჰქონდათ 27300 მ[3] მოცულობის სალექარის მოწყობის შესახებ ანგარიში. ჯამში 27300 მ[3] მეტი მოცულობის სალექარი არ აშენებულა. აშენებული იქნა 9500 მ[3] და 17800 მ[3] მოცულობის სალექარი. ამდენად შპს ,,არ ემ ჯი აურამაინი"-ს არ ესაჭიროებოდა გარემოსდაცვითი შეფასების გადაწყვეტილება სალექარის მშენებლობისათვის.

წარმომადგენლების განმარტებით ასევე ადგილი არ ჰქონია შპს ,,არ ემ ჯი აურამაინი"-ს მხრიდან მიწის ნაკვეთის არამიზნობრივ გამოყენებას. შპს ,,არ ემ ჯი აურამაინი" ფლობს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიას N 1004034 ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ზექთაქარის ოქრო-პოლიმერული საბადო. სამთო მინაკუთვნის ფართობია 345, 7939 ჰა, მიწის მინაკუთვნის ფართობი - 309,849 ჰა. ტერიტორია სადაც მოწყობილია ავტოსადგომი მიეკუთვნება ლიცენზიით განსაზღვრულ ტერიტორიას, სადაც შესაბამისი ნორმატიული აქტების თანახმად, ლიცენზიის მფლობელს უფლება აქვს მოაწყოს ავტოსადგომი და აღნიშნული არ წარმოადგენს მიწის ნაკვეთის არამიზნობრივ გამოყენებას.

ადგილი არ ჰქონია ასევე მიწის ნაყოფიერი ფენის მოხსნას და გადაადგილებას, რაც დაკავშირებული არ არის დადგენილი წესით ნებადართულ ღონისძიებებთან.

შპს ,,არ ემ ჯი აურამაინმა" მიწის ნაყოფიერი ფენის მოხსნა მოახდინა რეკულტივაციის პროექტის გარეშე. ამდენად ამ ნაწილში შპს ,,არ ემ ჯი აურამაინი" თავს ცნობს ბრალეულად. ხოლო დანარჩენ ნაწილში ითხოვს, რომ ქმედების არ არსებობის გამო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება უნდა შეწყდეს.

5. წერილობითი მტკიცებულებები:

- 2019 წლის 18 ივნისის №051570, N 051571, N 51572 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები, დანართები;
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- შპს ,,არ ემ ჯი აურამაინი"-ს შესახებ ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრიდან;
- გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის წერილები;
-ხელშეკრულებები;
-სასაქონლო ზედნადებები;
-მშენებლობის სანებართვო მოწმობა;
-ინფორმაცია შსს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტიდან შპს ,,არ ემ ჯი აურამაინი"-ს ადმინისტრაციული შემოწმების შესახებ;
- წერილები;
-ინსპექტირების აქტი;
-რეზერვუარი სალექარის, ასევე საწარმოო დამხმარე ნაგებობების და მოედნების მოწყობის პროცესში წიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის და რეკულტივაციის გეგმა.
-გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის 2019 წლის 12 ივნისის აქტი;
-საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 29 მაისის და 3 ივნისის წერილები;
-გარემოზე მიყენებული ზიანის გამოანგარიშების შესახებ ინფორმაცია;
- ფოტომასალა.

6. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით განსაზღვრულია, თუ რა წესით შეიძლება დაედოს ადმინისტრაციული სახდელი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენს, ამავე კოდექსის მე-8 მუხლის თანახმად, არავის არ შეიძლება შეეფარდოს ზემოქმედების ზომა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამო, თუ არა კანონმდებლობით დადგენილ საფუძველზე და წესით. მოცემული მუხლის თანახმად, კი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს აწარმოებენ კანონიერების მკაცრი დაცვის საფუძველზე. საამისოდ უფლებამოსილი ორგანოები და თანამდებობის პირნი ადმინისტრაციულ ზემოქმედების ზომებს შეუფარდებენ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში კანონმდებლობის ზუსტი შესაბამისობით.

სასამართლო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-10 მუხლის

საფუძველზე განმარტავს, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად (გადაცდომად) ჩაითვლება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი წესრიგის, საკუთრების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, მმართველობის დადგენილი წესის ხელმყოფი მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული (განზრახვა ან გაუფრთხილებელი) მოქმედება ან უმოქმედობა, რომლისთვისაც კანონმდებლობით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 264-ე მუხლის თანახმად, ორგანო (თანამდებობის პირი) ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვისას მოვალეა დაადგინოს ჩადენილი იყო თუ არა ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, ბრალეულია თუ არა პირი მის ჩადენაში, ექვემდებარება თუ არა იგი ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას, არის თუ არა შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები, მიყენებულია თუ არა ქონებრივი ზარალი, არის თუ არა საფუძველი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის მასალების ამხანაგური სასამართლოსათვის, საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციასა და მათ სტრუქტურულ ქვედანაყოფებში შექმნილ საზოგადოებრივი ორგანიზაციის, შრომითი კოლექტივისათვის, განსახილველად გადასაცემად, აგრეთვე გამოარკვიოს სხვა გარემოებანი, რომელთაც მნიშვნელობა აქვთ საქმის სწორად გადაწყვეტისათვის.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 33-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის სახდელი დაედება იმ ნორმატიული აქტით დაწესებულ ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევისათვის ამ კოდექსის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ სხვა აქტების ზუსტი შესაბამისობით. სახდელის დადებისას მხედველობაში მიიღება ჩადენილი სამართალდარღვევის ხასიათი, დამრღვევის პიროვნება, მისი ბრალის ხარისხი, ქონებრივი მდგომარეობა, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებანი.

7. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 53² -ე მუხლის თანახმად მიწის ნაკვეთის არამიზნობრივი გამოყენება გამოიწვევს დაჯარიმებას 750 ლარის ოდენობით.

მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ ბოლნისის რაიონის სოფელ ბერთაკარში შპს ,,არ ემ ჯი აურამაინი"-ს მიერ მოწყობილია ავტოსადგომი. დადგენილია, რომ შპს ,არ ემ ჯი აურამაინი" ფლობს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების N 1004034 ლიცენზიას, ლიცენზიით გათვალისწინებული ტერიტორია და ფართობი: ბოლნისის მუნიციპალიტეტი, ბექთაქარის ოქრო-პოლიმეტალური საბადო, სამთო მინაკუთვნის ფართობი - 345 7939 ჰა; მიწის მინაკუთვნის ფართობი - 309 849 ჰა. ლიცენზიის მოქმედების ვადა 19.06.2016 წლიდან 13.10.2041 წლამდე. წარმოდგენილი მტკიცებულების შეფასების შედეგად დადგენილია, რომ შპს ,,არ ემ ჯი აურამაინი"-ს მიერ ავტოსადგომი მოწყობილია წიაღით სარგებლობის ლიცენზიით განსაზღვრული ტერიტორიაზე, მიწის მინაკუთვნის კონტურის ფარგლებში.

,,წიაღის შესახებ" კანონის მე-12 მუხლის პირველი ნაწილის ,,ბ" ქვეპუნქტის თანახმად,

წიაღით მოსარგებლეს უფლება აქვს, გამოყოფილი მიწის მინაკუთვნის ფარგლებში [illegible] გასასტვრეული მიზნებისათვის აწარმოოს მეურნეობა მისთვის სასურველი ფორმით, თუ ეს არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას;

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 3 ოქტომბრის წერილით დადგენილია, რომ 2016 წლის 28 სექტემბრის გარემოს ერ.სააგენტოს N 21/9863 წერილის საფუძველზე დანართით წარმოდგენილი ტერიტორია, საჯარო რეესტრში აღირიცხა წიაღით სარგებლობის ობიექტად.

გამომდინარე ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან, სასამართლოს მიაჩნია, რომ არ დასტურდება შპს ,,არ ემ ჯი აურამაინი"-ს მიერ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 53²-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების განხორციელების ფაქტი.

7.1. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 51-ე მუხლის თანახმად, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაყოფიერი ფენის მოხსნისა და შენახვის და სამელიორაციო სამუშაოთა ჩაუტარებლობა, აგრეთვე რეკულტივაციის, ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზიისა და ნიადაგის მდგომარეობის გამაუარესებელი სხვა პროცესებისაგან ნიადაგის დაცვის მიწათმოსარგებლეზე დამოკიდებული სავალდებულო ღონისძიებების განუხორციელებლობა – გამოიწვევს დაჯარიმებას 750 ლარის ოდენობით.

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N 424 დადგენილებით დამტკიცებული ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სამეწარმეო, სამეურნეო ან ყველა სხვა სახის საქმიანობა (მილსადენის, გზების გაყვანა ან სპეცდანიშნულების ობიექტების მშენებლობა და სხვა), რომელიც დაკავშირებულია ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნასთან (მათ შორის ინტენსიური სასოფლო-სამეურნეო სავარგულები) ხორციელდება შესაბამისი გეგმებისა და პროექტების საფუძველზე.

ამავე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, ნიადაგს, რომელსაც ესაჭიროება სარეკულტივაციო სამუშაოების ჩატარება, ნაყოფიერების აღდგენის, მისი შემდგომი სოფლის მეურნეობისათვის, ტყის მეურნეობისათვის ან სხვა მიზნების გამოყენებისათვის, მიწის ფართობის წინასწარი საველე ნიადაგური გამოკვლევის ჩატარება მოსახსნელი ფენების სიმძლავრის დადგენის მიზნით, ხორციელდება რეკულტივაციის პროექტის თანახმად, ტექნიკური და ბიოლოგიური რეკულტივაციის ეტაპებად:

ა) ტექნიკური ეტაპი ითვალისწინებს რეკულტივაციის პროექტის თანახმად დაგეგმარებას, რელიეფის ფორმირებას, ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა_დატანას, ჰიდროტექნიკური და მელიორაციული ნაგებობების მოწყობას, უვარგისი ქანების დამარხვას ასევე სხვა სამუშაოების ჩატარებას, რომლებიც ქმნიან საჭირო პირობებს რეკულტივირებული მიწის შემდგომი მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენებისათვის ან ნიადაგის ნაყოფიერების აღდგენის ღონისძიებების გატარებისათვის (ბიოლოგიური

ეტაპი).

ბ) ბიოლოგიური ეტაპი მოიცავს აგროტექნიკურ და ფიტომელიორაციულ კომპლექსურ ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია აგროფიზიკური, აგროქიმიური, ბიოქიმიური და ნიადაგის სხვა თვისებების გაუმჯობესებისაკენ.

წარმოდგენილი სამართალდარღვევის ოქმით, ინსპექტირების აქტით და სხვა დოკუმენტაციით დადგენილია, რომშპს „არ ემ ჯი აურამაინი"-ს მიერ მიწის ექსკავაციის, კერძოდ გვირაბის პორტალის შესასვლელის,სალექარების, გვირაბის გაყვანის შედეგად წარმოქმნილი ფუჭი ქანების განთავსების, სამშენებლო მოედნამდე მისასვლელი გზის, სამშენებლო მოედნის მიმდებარედ ავტოსადგომის მოწყობისა და სხვა დამხმარე ნაგებობების მშენებლობისას, არ ყოფილა დაცული მიცის დაცვის მოთხოვნები.

შპს „არ ემ ჯი აურამაინი"-ს წარმომადგენლებმ სასამართლო სხდომაზე განმარტეს, რომ შპს „არ ემ ჯი აურამაინი"-ს მიერ არ განხორციელებულა მიწის დაცვის მოთხოვნის შესაბამისად რეკულტივაციის სავალდებულო ღონისძიებები, კერძოდ შპს „არემჯი აურამაინს" არ გააჩნდა რეკულტივაციის პროექტი.

მოცემულ შემთხვევაში, სასამართლოს მიაჩნია, რომ შპს „არ ემ ჯი აურამაინმა" განახორციელა ასკ-ის 51-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება. აღნიშნული დასტურდება, როგორც მხარეთა ახსნა-განმარტებებით, ასევე საქმეში არსებული მტკიცებულებებით. ამდენად, შპს „არ ემ ჯი აურამაინი" ცნობილი უნდა იქნეს სამართალდამრღვევად ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 51-ე მუხლით.

7.2. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 51^2-ე მუხლის თანახმად, მიწის ნაყოფიერი ფენის მოხსნა და გადაადგილება, რაც დაკავშირებული არ არის დადგენილი წესით ნებადართულ ღონისძიებებთან, გამოიწვევს დაჯარიმებას 1750 ლარის ოდენობით.

წარმოდგენილი ოქმის თანახმად, შპს „არემჯი აურამაინმა" სამშენებლო მოედნის მიმდებარედ არსებულ ტერიტორიასთან 500 m^2 მიწის ფართობზე მოაწყო ავტოსადგომი. მოახდინა მიწის ნაყოფიერი ფენის მოხსნა და გადაადგილება. ოქმის თანახმად, აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლება რეგისტრირებული არ არის.

სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 51^2-ე მუხლის თანახმად, სამართალდარღვევას წარმოადგენს არა საკუთრივ მიწის ნაყოფიერი ფენის მოხსნა და გადაადგილება, არამედ აღნიშნული ქმედების განხორციელება იმ შემთხვევაში, თუ ქმედება (მიწის ნაყოფიერი ფენის მოხსნა და გადაადგილება) ხორციელდება დადგენილი წესით ნებადართული ღონისძიებების გარეშე.

მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ შპს „არემჯი აურამაინს" მოპოვებული აქვს წიაღით სარგებლობის ლიცენზია. მის მიერ მოწყობილი ავტოსადგომი განთავსებულია ლიცენზიით გათვალისწინებულ ტერიტორიაზე. წარმოდგენილი მტკიცებულებით

დასტურდება, რომ აღნიშნული მიწის ნაკვეთი რეგისტრირებულია წიაღით სარგებლობის ობიექტად. მოცემულ შემთხვევაში მიწის ნაკვეთზე საჯარო რეესტრში საკუთრების უფლების რეგისტრაციის/არ არსებობა გავლენას ვერ მოახდენს ქმედების კვალიფიკაციაზე, ვინაიდან როგორც აღინიშნა, შპს ,,არემჯი აურამაინს" ლიცენზიით განესაზღვრა მოცემული მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლება, რაც ასევე მოიაზრებს გამოყოფილი მიწის მინაკუთვნის ფარგლებში ლიცენზიით განსაზღვრული მიზნებისათვის აწარმოოს მეურნეობა მისთვის სასურველი ფორმით, თუ ეს არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას;

ამდენად, წარმოდგენილი მტკიცებულებების, მხარეთა ახსნაგანმარტების შეფასების შედეგად, სასამართლოსმ იაჩნია, რომ შპს ,,არ ემ ჯი აურამაინის" ქმედება არ შეიცავს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 51^2-ე მუხლით გათვალისწინებული გადაცდომის ნიშნებს.

7.3. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79^7-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გარემოზე ზემოქმედების შეფასებისადმი დაქვემდებარებული საქმიანობის გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გარეშე განხორციელება ან სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებული საქმიანობის სკრინინგის გადაწყვეტილების გარეშე განხორციელება – გამოიწვევს დაჯარიმებას 7 000-დან 10 000 ლარამდე.

,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" 3-ე მუხლის ,,ბ" პუნქტის თანახმად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება არის ამ კოდექსის მე-13 მუხლის გათვალისწინებით გამოცემული აქტი, რომელიც გარემოზე ზემოქმედების შეფასებისადმი დაქვემდებარებული საქმიანობის განხორციელების სავალდებულო წინაპირობაა. თუ საქმიანობის განხორციელებისთვის საჭიროა გარემოსდაცვით გადაწყვეტილებაზე დამოკიდებული საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ლიცენზია/ნებართვა ან/და ასეთი ლიცენზიის/ნებართვის რომელიმე სტადიის დასრულება, აღნიშნული ლიცენზია/ნებართვა შეიძლება ძალაში შევიდეს ან/და ასეთი ლიცენზიის/ნებართვის შესაბამისი სტადია შეიძლება დასრულდეს მხოლოდ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შემდეგ, გარდა ამ კოდექსის მე-5 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა;

ამავე მუხლის ,,გ" პუნქტის თანახმად, გარემოზე ზემოქმედება არის სტრატეგიული დოკუმენტის ან საქმიანობის განხორციელებით გამოწვეული გარემოზე ნებისმიერი ზემოქმედება, რომელიც შესაძლოა მოიცავდეს შემდეგ ფაქტორებზე ზემოქმედებას: ადამიანის ჯანმრთელობა და უსაფრთხოება, ბიომრავალფეროვნება და მისი კომპონენტები, წყალი, ჰაერი, ნიადაგი, მიწა, კლიმატი, ლანდშაფტი და დაცული ტერიტორიები. გარემოზე ზემოქმედება მოიცავს აგრეთვე კულტურულ მემკვიდრეობაზე ან სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორებზე ზემოქმედებას, რომელიც გამოწვეულია მათი ცვლილებით;

ამავე მუხლის ,,დ" პუნქტის თანახმად, გარემოზე ზემოქმედების შეფასება (შემდგომ – გზშ) – შესაბამის კვლევებზე დაყრდნობით, გარემოზე შესაძლო ზემოქმედების

გამოვლენისა და შესწავლის პროცედურა იმ დაგეგმილი საქმიანობისთვის, რომელსაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინოს გარემოზე და რომელიც

ექვემდებარება ამ კოდექსის I დანართით გათვალისწინებულ საქმიანობას და, სკრინინგის გადაწყვეტილების შესაბამისად, ამავე კოდექსის II დანართით გათვალისწინებულ საქმიანობას. გზშ მოიცავს სკოპინგს, გზშ-ის ანგარიშის მომზადებას, საზოგადოების მონაწილეობას, უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოებთან კონსულტაციების გამართვას, მიღებული შედეგების შეფასების საფუძველზე ექსპერტიზის დასკვნის მომზადებას და მის მხედველობაში მიღებას ამ კოდექსით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემისას ან/და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული შესაბამისი აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას;

ამავე კოდექსის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, გზშ-ს ექვემდებარება ამ კოდექსის I დანართით გათვალისწინებული საქმიანობა და ამავე კოდექსის II დანართით გათვალისწინებული ის საქმიანობა, რომელიც ამ კოდექსის მე-7 მუხლით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურის შესაბამისად მიღებული სკრინინგის გადაწყვეტილების საფუძველზე დაექვემდებარება გზშ-ს.

,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს მე-5 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ მუხლის პირველი ნაწილით გათალისწინებული საქმიანობა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.

ამავე კოდექსის II დანართის 9.9 პუნქტით გათვალისწინებულია კაშხლის ან/და სხვა ნაგებობის/მოწყობილობის მშენებლობა, რომლის მშენებლობა მიზანშეწონილია წყლის შეკავების ან წყლის გრძელვადიანი დაგროვების მიზნით და რომლის მიერ შეკავებული ან დაგროვებული წყლის მოცულობა 10 000 მ³-ზე მეტია;

ამდენად, მოცემული დანართის 9.9 პუნქტით გათვალისწინებული საქმიანობა წარმოადგენს გარემოზე ზემოქმედების შეფასებისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობას.

მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ შპს ,,არ ემ ჯი აურამაინი"-ს ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ბერთაკარის მიმდებარედ მოწყობილი აქვს 17800 მ³ მოცულობის სალექარი. დადგენილია, რომ აღნიშნული სალექარი მოწყობილია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გარეშე.

სოფელ ბექთაქარის მიმდებარედ, 17 800 მ3 მოცულობის სალექარის მოწყობის ფაქტს არ უარყოფს შპს ,,არ ემ ჯი აურამაინი", მაგრამ განმარტავს, რომ მან სამინისტროს მიმართა 2017 წელს და წარადგინა 27 300 მ3 (13650 X2) მოცულობის სალექარის მიზნით გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში.

წარმოდგენილი მტკიცებულებით, კერძოდ შპს ,,არ ემ ჯი აურამაინი"-ს წერილზე საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს 2017 წლის 28 ივნისით დათარიღებული პასუხით ირკვევა, რომ სამინისტროს მიმართა შპს ,,არ ემ ჯი აურამაინმა" 2017 წლის 14 ივნისს, წერილი ეხებოდა წინასწარი განხილვის მიზნით

ბოლნისის მუნიციპალიტეტში,,, ,,ბექთაქარის ოქრო-პოლიმეტალური [illegible] საბადოს [illegible] ექსპლუატაციას ღია წესით დამუშავებისათვის საჭირო 27300მ³ მოცულობის წყალსაცავის" გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის სამინისტროში წარდგენას. სამინისტროს პასუხში აღნიშნულია, რომ ,,მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, საბადოს დამუშავება და სალექარის მოწყობა არ განიხილება, როგორც ეკოლოგიურ ექსპერტიზას დაქვემდებარებული საქმიანობა".

მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ შპს ,,არ ემ ჯი აურამაინი"-ს მიერ მოწყობილია 9500 მ³ და 17800 მ³ მოცულობის სალექარი. წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ შპს ,,არ ემ ჯი აურამაინი"-ს მიერ სალექარის მოწყობა განხორციელდა გარემოსდაცვითი შეფასების გადაწყვეტილების გარეშე. აღნიშნულს ადასტურებს სასამართლოში წარმოდგენილი მტკიცებულებები.

სასამართლო აღნიშნავს, რომ ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" თანახმად, 2018 წლის 1 იანვრიდან ძალადაკარგულად გამოცხადდა ,,გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონი.

,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" 1-ლი და 2-ე დანართები ამოქმედდა 2018 წლის 1 იანვრიდან (51-ე მუხლი, მე-2 ნაწ).

სასამართლო აღნიშნავს, რომ ,,გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" კანონი არ ითვალისწინებდა გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-2 დანართის 9.9 პუნქტში გათვალისწინებულ გარემოებას, ,,გარემოზე ზემოქმედების ნებართვის" კანონის მე-4 მუხლის პირველი ნაწილის ,,ო" პუნქტის თანახმად, ეკოლოგიური ექსპერტიზისათვის დაქვემდებარებულ საქმიანობად მიიჩნეოდა წყალსაცავის (10 000 მ3 და მეტი მოცულობის) მოწყობა. შპს ,,არ ემ ჯი.აურამაინმა" სამინისტროს მიმართა 2017 წელს და იმ პერიოდისათვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მიიღო პასუხი, მას სახელმწიფო დაწესებულებიდან რაიმე სახის ნებართვა ან დაპირება არ მიუღია. საქმეში წარმოდგენილია შპს ,,არ ემ ჯი აურამაინი"-ს 21.03.2019 წლით დათარიღებული წერილი, რომლითაც იგი მიმართავს საქართველოს გარემოს დაცვისა და საოფლის მეურნეობის სამინისტროს. წერილში აღნიშნავს, რომ შპს ,,არ ემ ჯი აურამაინს" დაგეგმილი აქვს ბექთაქარის ოქროპოლიმეტალური საბადოს მიმდებარე ტერიტორიაზე, ტექნოლოგიური მიზნებისათვის 17800 მ³ მოცულობის რეზერვუარი-სალექარის მოწყობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, შპს ,,არ ემ ჯი აურამაინი" სკოპინგის დასკვნის მისაღებად წარადგენს რეზერვუარი-სალექარის მოწყობის სკოპინგის ანგარიშს განსახილველად. დადგენილია, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ არ არის გაცემული შპს ,,არ ემ ჯი აურამაინი" -ს მიმართ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება 17800 მ³ სალექარის მოწყობის შესახებ.

სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში შპს ,,არ ემ ჯი აურამაინი"-ს მიერ 17800 მ3 მოცულობის სალექარის მოწყობა წარმოადგენს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებულ გარემოზე ზემოქმედების [illegible] შეფასებისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობას. შპს ,,არ ემ ჯი აურამაინი"-ს მიერ ქმედება (17800მ³ მოცულობის სალექარის მშენებლობა) განხორციელებულია 2018 წლის 1 იანვრის

16

შემდეგ. აღნიშნული სალექარის მშენებლობისათვის სავალდებულო იყო გარემოზე ზემოქმედების შეფასების გადაწყვეტილების მიღება, რაც შპს ,,არ ემ ჯი აურამაინი"-ს არ განუხორციელებია. დადგენილია, რომ მან ამ მიზნით სამინისტროს მიმართა მხოლოდ სალექარის მშენებლობის პროცესის დაწყების შემდეგ.

წარმოდგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით, საქმეში წარმოდგენილი სხვა მტკიცებულებით დადგენილია, რომ შპს ,,არ ემ ჯი აურამაინი"-ს მიერ წყლების შესაგროვებლად ბოლნისის მუნიციპალიტეტში, სოფელ ბერთაქარის მიმდებარედ, მოწყობილი აქვს 17 800 m^3 მოცულობის სალექარი. აღნიშნული ქმედების განხორციელების უფლება კი შპს ,,არ ემ ჯი აურამაინს" ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის"-ს მე-5 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ჰქონდა მხოლოდ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.

საქმის მასალების შესწავლის და მხარეთა განმარტების მოსმენის შედეგად სასამართლო მიიჩნევს, რომ დადასტურებულია შპს ,,არ ემ ჯი აურამაინი"-ს მიერ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79^7-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი.

8. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 34-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად ითვლება ბრალეულის გულწრფელი აღიარება. ამავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, ორგანოს (თანამდებობის პირს), რომელიც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეს წყვეტს, შეუძლია შემამსუბუქებლად მიიჩნიოს ისეთი გარემოებანი, რომელიც არ არის აღნიშნული კანონმდებლობაში.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 23-ე მუხლით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული სახდელის მიზნები, კერძოდ კი ადმინისტრაციული სახდელი წარმოადგენს პასუხისმგებლობის ზომას და გამოიყენება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენის აღსაზრდელად კანონების დაცვის, საერთო ცხოვრების წესების პატივისცემის სულისკვეთებით, აგრეთვე როგორც თვით სამართალდამრღვევის, ისე სხვა პირთა მიერ ახალი სამართალდარღვევების ჩადენის აცილების მიზნით.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 232-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება არ შეიძლება დაიწყოს, ხოლო დაწყებული საქმე უნდა შეწყდეს: ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შემთხვევის არ არსებობის გამო.

მოცემულ შემთხვევაში, საქმის განხილვის შედეგად, სასამართლოს მიაჩნია, რომ დადასტურებულია შპს ,,არ ემ ჯი აურამაინი"-ს მიერ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79^7-ე მუხლის პირველი ნაწილით და 51-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ჩადენის ფაქტი, შესაბამისად შპს ,,არ ემ ჯი აურამაინი" ცნობილი უნდა იქნეს სამართალდამრღვევად აღნიშნული მუხლების საფუძველზე. არ დასტურდება საქართველოს

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 51^2-ე და 53^2-ე მუხლებით გათვალისწინებული ქმედების ფაქტი, რის გამოც მოცემულ ნაწილში საქმის წარმოება უნდა შეწყდეს. ოქმის შემდგენმა დაწესებულებამ წარმოადგინა ასკ-ის 53^2-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების გამო გარემოზე მიყენებული ზიანის გამოანგარიშების შესახებ ინფორმაცია. ვინაიდან სასამართლოს მიაჩნია, რომ სახეზე არ არის ასკ-ის 53^2-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება, არ არსებობს ზიანის დაკისრების საფუძველიც.

სასამართლო ითვალისწინებს ჩადენილი სამართალდარღვევის ხასიათს, საქმეზე არსებულ ფაქტობრივ გარემოებებს, იმ გარემოებას და მიაჩნია, რომ შპს ,,არ ემ ჯი აურამაინს" საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 51-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების ჩადენის გამო ადმინისტრაციული სახდელის სახედ და ზომად უნდა განესაზღვროს ჯარიმა 750 ლარის ოდენობით, ხოლო საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79^7-ე მუხლის პირველი ნაწილით - ჯარიმა 7000 ლარის ოდენობით.
საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 36-ე მუხლის თანახმად, ერთი პირის მიერ ორი ან მეტი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისას ადმინისტრაციული სახდელი მას დაედება თითეული სამართალდარღვევისთვის ცალ-ცალკე.
თუ პირმა ჩაიდინა რამდენიმე ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, რომელთა საქმეებს ერთდროულად განიხილავს ერთი და იგივე ორგანო (თანამდებობის პირი), სახდელი დაედება იმ სანქციის ფარგლებში, რომელიც დაწესებულია უფრო სერიოზული დარღვევებისათვის. ამ შემთხვევაში ძირითად სახდელს შეიძლება დაემატოს ერთ-ერთი დამატებითი სახდელთაგანი, რომლებსაც ითვალისწინებენ რომელიმე ჩადენილი სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობის დამდგენი მუხლები.

ამდენად, საბოლოოდ, შპს ,,არ ემ ჯი აურამაინს" ადმინისტრაციული სახდდელის სახედ და ზომად უნდა განესაზღვროს ჯარიმა 7000 ლარის ოდენობით.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 51-ე, 51^2-ე, 53^2-ე, 79^2-ე, 232-ე, 266-ე, 267-ე, 271-ე, 290-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. შეწყდეს შპს ,,არ ემ ჯი აურამაინი"-ს მიმართ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 51^2-ე და 53^2-ე მუხლების საფუძველზე დაწყებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შემთხვევის არარსებობის გამო;

2. შპს ,,არ ემ ჯი აურამაინი" (ს/ნ 405168740) ცნობილი იქნეს სამართალდამრღვევად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 51-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამო [illegible] და ადმინისტრაციული სახდელის სახედ და ზომად გამუსაზღვროს ჯარიმა 750 ლარის

18

ოდენობით;

3. შპს „არ ემ ჯი აურამაინი“ (ს/ნ 405168740) ცნობილი იქნეს სამართალდამრღვევად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79[7]-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამო და ადმინისტრაციული სახდელის სახედ და ზომად განესაზღვროს ჯარიმა 7000 ლარის ოდენობით;

4. შპს „არ ემ ჯი აურამაინი“-ს (ს/ნ 405168740) საბოლოოდ ადმინისტრაციული სახდელის სახედ და ზომად განესაზღვროს ჯარიმა 7000 ლარი, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ; (ჯარიმის თანხა ჩარიცხული იქნეს შემდეგ ანგარიშზე: მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი:TRESGE22, ანგარიშის ნომერი/სახაზინო კოდი: 30 200 3541);

5. განემარტოს სამართალდამრღვევს, რომ მან დაკისრებული სახდელი (ჯარიმა) უნდა გადაიხადოს დაჯარიმების შესახებ დადგენილების მისთვის ჩაბარებიდან არა უგვიანეს 7 (შვიდი) დღისა;

6. თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი (ქვითარი) წარმოდგენილ იქნეს ბოლნისის რაიონულ სასამართლოში.

7. დადგენილების ასლი გადაეგზავნოს სამართალდამრღვევს და სამართალდარღვევის ოქმის შემდგენს;

8. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში (მდ. თბილისი, გრ. რობაქიძის №7ა) მისი ჩაბარებიდან 10 (ათი) დღის ვადაში ბოლნისის რაიონული სასამართლოს (ბოლნისი, სულხან საბას ქუჩა'N 113) მეშვეობით.

მოსამართლე პაატა ფხალაძე

ბასლი ფიფანთან სწორია
ბოლნისის რაიონული სასამართლო
ხელმოწერა: _____
15-08-13 20 წ.

საქმე №33051001900307 40
საქმე №4/7498-19

5480028845891

www.info.court.ge

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა
საქართველოს სახელით
ადმი სტრაციული სახდელის გამოყენების შესახებ

08.07.2019წ. ქ. თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია
მოსამართლე ლელა ჭინჭარაული
ხდომის მდივანი მანანა გოგიბედაშვილი

ოქმის შემდგენი ორგანო - სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი
წარმომადგენელი - ლერი ხოროიშვილი

ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირი - შპს ,,არ ემ ჯი აურამაინ" (ს/ნ 405168740; მისამართი: თბილისი, მ. ალექსიძის ქ. N1)
წარმომადგენლები - მი ეილ სამხარაძე, ალექსანდრე დევიძე

სასამართლო სხდომაზ განხილული იქნა ნარჩენების მართვის კოდექსის 43-ე მუხლის მე-2 ნაწილით და 44-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ს ე ადმინისტრაციული სახდელის გამოყენების თაობაზე

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

1. 2019 წლის 01 ივლის თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტიდან შემოვიდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის სალები შპს ,,არ ემ ჯი აურამაინ"-ის მიმართ, ნარჩენების მართვის კოდექსის 4 -ე მუხლის მე-2 ნაწილით და 44-ე მუხლით ნაწილით გათვალისწინებული ქმ ების ჩადენისათვის.

2.2. წარმოდგენილი სამ თალდარღვევის მასალებით დადგენილია, რომ:

2.1. 2019 წლის 18 ივნისის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის №051573

დანართი N1-ში [illegible]ებულია, რომ ნარჩენების მართვის კოდექსის მე-14 მუხლის შესაბამისად, შპს ,,არ[illegible]მ ჯი აურამაინ"-ი ვალდებული იყო შეემუშავებინა კომპანიის ნარჩენების მართვის [illegible]გმა და წარედგინა შესათანხმებლად სამინისტროში, რაც არ განუხორციელებია. ას[illegible], ნარჩენების მართვის კოდექსის 29-ე მუხლის შესაბამისად, შპს ,,არ ემ ჯი აურამაინ"-[illegible]ვალდებული იყო საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრ[illegible] 2018 წლის 9 იანვრის №2-11 ბრძანების შესაბამისად, 2018 წელს წარმოქმნილი ნარჩენებ[illegible]ს შესახებ ინფორმაცია ელექტრონულად, http://waste.moe.gov.ge-ს მეშვეობით, 2019 წლ[illegible] პირველ მარტამდე წარედგინა სამინისტროში, რაც კომპანიას არ განუხორციერლებია.

2.2. ზემოაღნიშნულთან[illegible] დაკავშირებით, შპს ,,არ ემ ჯი აურამაინ"-ის მიმართ 2019 წლის 18 ივნისს შედგენილ[illegible]ქნა №051573 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, ნარჩენების მართვის [illegible]ოდექსის 43-ე მუხლის მე-2 ნაწილით და 44-ე მუხლით გათვალისწინებული ქმ[illegible]ედების ჩადენისათვის.

3. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემდგენი ორგანოს წარმომადგენლის განმარტება:

3.1. გარემოსდაცვითი[illegible]ედამხედველობის დეპარტამენტის წარმომადგენელმა მხარი დაუჭირა ადმინისტრ[illegible]იული სამართალდარღვევის ოქმს და დამატებით განმარტა, რომ შპს ,,არ ემ ჯი ა[illegible]ამაინ"-ის მიერ აღრიცხვის [illegible]ანგარიშგების გეგმა დღეის მდგომარეობითაც არ[illegible]ის წარდგენილი სამინისტროში. ასევე არა აქვს წარდგენილი ნარჩენების მართვის გე[illegible]მა შესათანხმებლად.

4. ადმინისტრაციულ[illegible]სუხისგებაში მიცემული პირის შპს ,,არ ემ ჯი აურამაინ"-ის წარმომადგენლებმა ნა[illegible]�ერივ დაადასტურეს კომპანიის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი. გ[illegible]არტეს, რომ ნარჩენების მართვის გეგმა სამინისტროში შესათანხმლებად წარდ[illegible]ნილი არ ყოფილა, თუმცა 08.07.2019 წელს სამინისტრომ მიიღო N2-626 გადაწყვეტილ[illegible]ა, რომლის თანახმადაც, კომპანიას დაევალა განახლებული ნარჩენების მართვის გე[illegible]მის შედგენა, სადაც გაერთიანებული იქნება შპს ,,RMG Gold" -ის და შპს ,,RMG Copper"[illegible]ს საქმიანობა. რაც შეეხება 2018 წელს წარმოქმნილი ნარჩენების შესახებ ინფორმაციის[illegible]ექტრონულად წარედგინის ვალდებულებას სამინისტროში, განმარტეს, რომ [illegible]აციის წარდგენის ვადა იყო 2019 წლის პირველ მარტამდე, შესაბამისად, სახდელი[illegible]დადების ვადა უნდა აითვალოს იმ დღიდან, როცა კომპანიას უნდა შეესრულებინა ვ[illegible]ებულება და არა ოქმის შემდგენი ორგანოს მიერ დარღვევის გამოვლენიდან. მოით[illegible]ს საქმის წარმოების ამ ნაწილში შეწყვეტა, ვინაიდან განვლო სახდელის დადების [illegible]თვიანმა ვადამ.

5. წერილობითი მტკიცებულებები:

5.1. 18.06.2019წლის №0[illegible]1573 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი;

5.2. №051573 ადმინისტ[illegible]აციული სამართალდარღვევის [illegible]ქმის დანართი №1;

5.3. 04.2019 წლის ინსპ[illegible]ირების №005533 აქტი;

21

5.4. დათვალიერების შესახებ №005533 ინსპექტირების აქტის დანართი №1;

5.5. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო(კომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;

5.6. [illegible] ადმინისტრაციული დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრის 24.06.2019წ ცნობა;

5.7. ფოტომასალა.

6. წარმოდგენილი და სასამართლო განხილვისას მიღებული მტკიცებულებების შეფასება და დასკვნები:

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის პირველი მუხლის შესაბამისად, ეს კოდექსი განსაზღვრავს თუ რა წესით შეიძლება დაედოს ადმინისტრაციული სახდელი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენს.

ამავე კოდექსის მე-8 მუხლის თანახმად, არავის არ შეიძლება შეეფარდოს ზემოქმედების ზომა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამო, თუ არა კანონმდებლობით დადგენილ საფუძველზე და წესით. ამავე ნორმის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს აწარმოებენ კანონიერების მკაცრი დაცვის საფუძველზე. საამისოდ უფლებამოსილი ორგანოები და თანამდებობის პირნი ადმინისტრაციული ზემოქმედების ზომებს შეუფარდებენ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, კანონმდებლობის ზუსტი შესაბამისობით.

მითითებული კოდექსის მე-10 მუხლი განსაზღვრავს, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად (გადაცდომად) ჩაითვლება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი წესრიგის, საკუთრების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, მმართველობის დადგენილი წესის ხელმყოფი მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული (განზრახი ან გაუფრთხილებელი) მოქმედება ან უმოქმედობა, რომლისთვისაც კანონმდებლობით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა, ხოლო 33-ე მუხლის პირველი ნაწილი ადგენს, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის პირს სახდელი დაედოს იმ ნორმატიული აქტით დაწესებულ ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის ამ კოდექსის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ სხვა აქტების ზუსტი შესაბამისობით.

ნარჩენების მართვის კოდექსის 43-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის დადგენილ ვადაში წარუდგენლობა ან/და ამ გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების განუხორციელებლობა – გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.

სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 236-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მტკიცებულებას წარმოადგენს ყველა ფაქტობრივი მონაცემი, რომელთა საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, ორგანო (თანამდებობის პირი)

22

ბრალეულობას მის ჩადენაში და სხვა გარემოებებს, რომლებსაც მნიშვნელობა აქვს საქმის სწორად გადაწყვეტისათვის. ეს მონაცემები დადგინდება შემდეგი საშუალებებით: ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით, ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის ახსნა-განმარტებით, დაზარალებულისა და მოწმის ჩვენებებით, ექსპერტის დასკვნით, ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული გამოკვლევის (ტესტირების) შედეგებით, ვიდეოფირით ან ფოტოფირით, ნივთიერი მტკიცებულებით, ნივთისა და დოკუმენტის ამოღების ოქმით და სხვა დოკუმენტებით.

მითითებული საკანონმდებლო აქტის 237-ე მუხლის მიხედვით, ორგანო (თანამდებობის პირი), ხელმძღვანელობს რა კანონით და მართლშეგნებით, მტკიცებულებას შეაფასებს თავისი შინაგანი რწმენით, რაც დამყარებულია საქმის ყველა გარემოების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ გამოკვლევაზე მათს ერთობლიობაში. ხოლო 264-ე მუხლი განსაზღვრავს, რომ ორგანო (თანამდებობის პირი) ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისას მოვალეა დაადგინოს: ჩადენილი იყო თუ არა ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, ბრალეულია თუ არა პირი მის ჩადენაში, ექვემდებარება თუ არა იგი ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას, არის თუ არა პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები, მიყენებულია თუ არა ქონებრივი ზარალი, აგრეთვე გამოარკვიოს სხვა გარემოებანი, რომელთაც მნიშვნელობა აქვთ საქმის სწორად გადაწყვეტისათვის.

განსახილველ შემთხვევაში, დადასტურებულია შპს ,,არ ემ ჯი აურამაინ"-ის მიერ ნარჩენების მართვის კოდექსის 43-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ჩადენის ფაქტი, იგი ბრალეულია მის ჩადენაში და ექვემდებარება პასუხისმგებლობას. შესაბამისად, შპს ,,არ ემ ჯი აურამაინ"-ი ცნობილ უნდა იქნეს ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად ნარჩენების მართვის კოდექსის 43-ე მუხლის მე-2 ნაწილით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შპს ,,არ ემ ჯი აურამაინ"-ს ნარჩენების მართვის კოდექსის 43-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედებისათვის უნდა შეეფარდოს ჯარიმა 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

7. საქმის მასალების შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის შედეგად, სასამართლო მიიჩნევს, რომ შპს ,,არ ემ ჯი აურამაინ"-ის მიმართ საქართველოს კანონის ,,ნარჩენების მართვის კოდექსის" 44-ე მუხლით დაწყებული საქმის წარმოება უნდა შეწყდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს კანონის ,,ნარჩენების მართვის კოდექსის" 44-ე მუხლის თანახმად, ნარჩენების აღრიცხვისა და ანგარიშგების ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით.

საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსის" 29-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ნარჩენების აღრიცხვისა და სამინისტროს წინაშე შესაბამისი ანგარიშგების ვალდებულება ეკისრებათ: ა) ამ კოდექსის 24-ე და 26-ე მუხლებით გათვალისწინებული საქმიანობების განმახორციელებელ პირებს; ბ)ნარჩენების წარმომქმნელს, რომლის სამეწარმეო საქმიანობის შედეგად წლის განმავლობაში 2 ტონაზე მეტი არასახიფათო

ნარჩენი (გარდა [illegible] ნარჩენისა) ან ნებისმიერი რაოდენობის სახიფათო ნარჩენი წარმოიქმნება. ავე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალის ებული ნარჩენების შესახებ მონაცემებს იმავე ნაწილით [illegible] 3 წლის განმავლობაში ინახავენ. ეს ინფორმაცია არ ექვემდებარ

ნაგავსაყრელის ოპერ ორზე. იგი ვალდებულია აღნიშნული მონაცემები შეინახოს ნაგავსაყრელის ფუნქც ნირების ვადის ამოწურვამდე და ნაგავსაყრელის დახურვის შემდგომი მოვლის პ რიოდში, ხოლო მეოთხე პუნქტის თანახმად, ნარჩენების აღრიცხვის წარმოები , ანგარიშგების განხორციელების ფორმა და შინაარსი განისაზღვრება [illegible] ოს მთავრობის დადგენილებით.

საქართველოს გარ დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 9 იანვრის №2-11 ბრძ ით დამტკიცდა თანდართული ,,აღრიცხვა-ანგარიშგების ელექტრონული ფორმე ისა და ნარჩენების მონაცემთა ბაზის ელექტრონული ფორმების შევსების წესი". მ[illegible]ებული წესის თანახმად, წარმოქმნილი ნარჩენების შესახებ ანგარიში უნდა შეივ ის ყოველწლიურად. ივსება წინა წლისთვის წარმოქმნილი ნარჩენების შესახებ ორმაცია და ეგზავნება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის ს. ინისტროს ელექტრონულად, მომდევნო წლის 1 მარტამდე.

საქართველოს ადმინი ტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 38-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრ იული სახდელი შეიძლება დაედოს არა უგვიანეს ორი თვისა სამართალდარღვევის ენის დღიდან, ხოლო როცა სამართალდარღვევა დენადია – არა უგვიანეს ორი თვისა მისი გამოვლენის დღიდან. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, [illegible] (საქალაქო) სასამართლოს განსჯად ადმინისტრაციული სამართალდარღვევის აქმეზე ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სა ელის დადების ვადა არ შეიძლება აღემატებოდეს ოთხ თვეს, გარდა ამ კოდექსის 159 159[9] მუხლებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

საქართველოს ადმინი ტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 232-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრ იული სამართალდარღვევის საქმის წარმოება არ შეიძლება დაიწყოს, ხოლო და ყებული საქმე უნდა შეწყდეს, თუ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ქმის განხილვის მომენტისათვის განვლო ამ კოდექსის 38-ე მუხლით გათვალისწინ[illegible]ა ვადებმა.

საქმის მასალებით დას ურდება, რომ წარმოქმნილი ნარჩენების შესახებ ანგარიში უნდა შეივსოს ყოველწლიურ . კერძოდ, წინა წლისთვის წარმოქმნილი ნარჩენების შესახებ ინფორმაცია ეგზავნებ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ელექტ ნულად, მომდევნო წლის 1 მარტამდე. ამდენად, გასულია ადმინისტრაციულ სამ თალდარღვევათა კოდექსის 38-ე მუხლით ადმინისტრაციული სახდელის დადების ს დადგენილი ოთხთვიანი ვადა და შპს ,,არ ემ ჯი აურამაინ"-ის მიმართ ,,ნარჩენების მართვის კოდექსის" 44-ე მუხლის ნაწილში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის მის წარმოება უნდა შეწყდეს.

სასამართლომ იხელმ ანელა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 38-ე, 232-ე, 266-267-ე, 271-ე და 290-ე მუხლებით, ნარჩენების მართვის კოდექსის 43-ე და 44-ე ხლებით

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. შპს ,,არ ემ ჯი აურ. ნ“ (ს/ნ 405168740; მისამართი: ქ.თბილისი, მ. ალექსიძის ქ. N1) ცნობილი იქნეს სამართალდამრღვევად ნარჩენების მართვის კოდექსის 43-ე მუხლის მე-2 ნაწილით და ადმ ისტრაციული სახდელის სახით განესაზღვროს ჯარიმა 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

2. შპს ,,არ ემ ჯი აურა აინ“-ის (ს/ნ 405168740; მისამართი: თბილისი, მ. ალექსიძის ქ. 1) მიმართ, ნარჩენები მართვის კოდექსის 44-ე მუხლით დაწყებული საქმის წარმოება შეწყდეს, ადმინისტრაციული სახდელის დადების ვადის გასვლის გამო.

3. განემარტოს სამართალდამრღვევს, რომ მან დაკისრებული სახდელი (ჯარიმა) უნდა გადაიხადოს დაჯარიმე ის შესახებ დადგენილების მისთვის ჩაბარებიდან არა უგვიანეს 30 დღისა

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისთვის დაკისრებული თანხა სამართალდამრღვევს შეაქვს საბანკო დაწესებულებაში ან საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში მოქმედ მის ფილიალებში საქართველოს სახ ო ბიუჯეტში ჩასარიცხად. თანხის გადახდისას მიეთითება სამართალდამრღვევის მონაცემები (სახელი, გვარი, პირადი ნომერი), ადმინისტრაციული სა ელის დადების თაობაზე სასამართლო დადგენილების ნომერი და გამოტანის თარიღი.

თანხა უნდა ჩაირიცხოს ცენტრალურ ბიუჯეტში, ერთიანი ანგარიშის №200 122 900 სახელმწიფო ხაზინის კოდი №220 101 222 სახაზინო კოდი № 302 003 541.

თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი (ქვითარი) წარმოდგენილი იქნეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში.

4. დადგენილების ასლი გადაეგზავნოს სამართალდამრღვევს და სამართალდარღვევის ოქმის შემდგენს;

5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმისტრაციულ საქმეთა პალატაში (მდ. ქ. თბილისი, გრ. რობაქიძის გამზ. №7ა), მისი მხარეთათვის ჩაბარებიდან 10 (ათი) დღის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის (მდ. ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მეშვეობით.

მოსამართლე ლელა ჭინჭარაული

№ 30/1

Date 14/06/2017

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრს

ბატონ გიგლა აგულაშვილს

ბატონო გიგლა,

გაცნობებთ, რომ შპს „არ ემ ჯი აურამინ"-ი გეგმავს ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ბერთაგორის მიმდებარე ტერიტორიაზე, შპს „არ ემ ჯი აურამინ"-ის ოქრო-პოლიმეტალური საბადოს ხალიცუნდოს ფართობის ფარგლებში, საბადოს დამუშავებისათვის საჭირო 27 300 მ³ მოცულობის წყალსაცავის მოწყობას.

„გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესრულების მიზნით, 2017 წლის 04 აგვისტოს, 15:00 საათზე, ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში, გაიმართება ბოლნისის მუნიციპალიტეტში, სოფ. ფეხოვანის მიმდებარედ, ბეჭოფარის ოქრო-პოლიმეტალური საბადოზე წყალსაცავის მოწყობის პროექტის „ბეჭოფარის ოქრო-პოლიმეტალური საბადოს მოწყობლებულ წყალთა დამუშავებისათვის საჭირო 27 300 მ³ მოცულობის წყალსაცავის გარემოზე ზემოქმედების შეფასება" გზშ-ს ანგარიშის საჯარო განხილვა.

ინფორმაცია საჯარო განხილვის დანიშვნის თაობაზე გამოქვეყნდა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა"-ს 2017 წლის 13 ივნისის №117 (8254) ნომერში.

„გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის შესაბამისად ინფორმაციად (წინასწარი განხილვის მიზნით) წარმოდგენილია კანონით დადგენილი დოკუმენტაცია.

წერილს თან ერთვის:

1. *ბოლნისის მუნიციპალიტეტში, სოფ. ბერთაგორის მიმდებარედ პროექტის „ბეჭოფარის ოქრო-პოლიმეტალური საბადოს მოწყობლებულ წყალთა დამუშავებისათვის საჭირო 27 300 მ³ მოცულობის წყალსაცავის გარემოზე ზემოქმედების შეფასება" გზშ-ს ანგარიში - 1 ეგზემპლიარი;*
2. *გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა"-ს 2017 წლის 13 ივნისის №117 (8254) ნომერი;*
3. *გზშ-ს ანგარიშის და ტექნიკური და არატექნიკური რეზიუმეს ელექტრონული ვერსია - 1 ცალი;*
4. *GPS (გლობალურ მდებარეობის სისტემების) კოორდინატები - 1 დისკი;*
5. *არატექნიკური რეზიუმე - 1 ეგზემპლიარი;*
6. *ტექნიკური რეზიუმე - 1 ეგზემპლიარი.*

პატივისცემით,

ალექსანდრე ცაბლინი
გენერალური დირექტორი

საქართველოს
გარემოსა და ბუნებრივი რესურსების
დაცვის მინისტრო
№ 8250/ბ
"14" 06 2017

#1 M. Aleksidze St., 3 lane, 0193 Tbilisi, Georgia
Tel: (+995 32) 247 45 45
Email: info@richmetalsgroup.com
Web: www.richmetalsgroup.com

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის
სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT AND NATURAL RESOURCES PROTECTION OF GEORGIA

K A000175072394117

[illegible] N6 [illegible] 2727280, 2727278, ფაქსი 2727237, www.moe.gov.ge
6 Gulua St. 0114, Tbilisi, Georgia, Tel: (995 32) 2727280, 2727278, Fax: 2727237, www.moe.gov.ge

 # 5724 **28 / ივნისი / 2017 წ.**

[illegible]
28/09/2017

[illegible] „[illegible]"-ის გენერალური დირექტორის
ბატონ ალექსანდრე გაჩლიანს

ბატონო ალექსანდრე,

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროდან გამოხმაურებულია თქვენი სიტყვიერი ჩვენის 14 ივნისის N201 წერილი, რომელიც ეხება ზემოაღნიშნული ბრძანებით „ბუნებრივი რესურსების [illegible]-პოლიტიკური საბჭოს მიწისქვეშა წყლის დაბინძურებისაგან საჭიროა 27300 ძვ მიდგილების წყლისგან" გარკვეულ ზემოქმედების შეფასების ანგარიშის სამინისტროში წარმოდგენის.

„ავტორსა ზემოქმედების სერტიფიკატის შესახებ" საქართველოს კანონის მე 4 მუხლის „ი" პუნქტის შესაბამისად „[illegible] [illegible] [illegible] [

საქართველო

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო

ხაზარო სამთამადნო მრეწველობა
გარემოს ეროვნული სააგენტო

სახარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

№ 1004034

201 წლის „ 19 მარტი

(ლიცენზიის უწყვეტად სალიცენზიო რეესტრში გაცემის თარიღი)

გაცემულია შპს „არ ემ ეს ეუ ალერამეინ"-ზე, ს/კ 405 168 740;

(იურიდიული ან ფიზიკური პირის დასახელება / ვინაობა, მისამართი მის შესახებ)

საფუძველი

ხსოვ გარემოს ეროვნული სააგენტოს ეფრიხის 2016 წლის 19 მარტის N 1675/ნ, 2016 წლის 23 სექტემბრის №1572/ნ, 2015 წლის 04 დეკემბრის N 1973/ნ, 2015 წლის 10 ნოემბრის №1784/ნ, 2013 წლის 23 მარტის №414 და ხსოვ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს უფროსის 2011 წლის 12 მარტის №13/44 ბრძანებები.

ბოლნისის

ლიცენზიით გათვალისწინებული ტერიტორიის მდებარეობა და ფართობი:

მუნიციპალიტეტი ბქინიანარის მერი-პოლიეტალ ერი სააკალი.

სამთო მინაკუთვნის ფართობი - 345,7939 ჰა;

მიწის მინაკუთვნის ფართობი -309,849 ჰა.

მოსაპოვებელი რესურსის სახეობა და მოცულობა:

ბენსაქარის ოქრო-პოლიმეტალურ საბადოზე სანარეულის წიაღისეულის მოპოვება - ოქრო - 11 987,87 კილოგრამი; ვერცხლი - 108 712 კილოგრამი; ტყვია - 27 448 ტონა; თუთია - 57 528 ტონა.

სალიცენზიო პირობები:

ანსაგლერულია სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ექსპერტის 2016 წლის 19 ოქტომბრის №1675/ს და სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს ექსპერტის 2011 წლის 12 ოქტომბრის №13/441 ბრძანებები

ლიცენზიის მოქმედების ვადა წელი. 19.10.2016 დან 13.10.2041 მდე

სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს"
უფლებამოსილი წარმომადგენელი

(ხელმოწერა)

ბ.ა

გაეცანი ლიცენზიის პირობებს და ვიღებ პასუხისმგებლობას მათ შესრულებაზე.

(ხელმოწერა)

ბ.ა

დამტკიცებულია სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს
დამამზადებელი შპს „ქერერა"
სფერო რეგისტრაციის № 23-4000



№	X	Y	Z-ნიშული
1	447922	4592220	603.18
2	449689	4592231	654.79
3	449755	4590171	701.55
4	448689	4590156	763.77
5	448194	4590968	899.34
6	448243	4591164	904.06
7	448000	4591200	846.45
8	447919	4591073	818.37
9	447731	4590983	764.54
10	447613	4591450	716.90
S = 345.7939 ha			
UTM_WGS_1984			

№	X	Y
1	447922	4592220
2	449689	4592231
3	449755	4590171
4	448689	4590156
5	448194	4590968
6	448243	4591164
7	448000	4591200
11	448058	4591475
12	448144	4591560
13	448034	4591673
14	448256	4591798
15	448183	4591921
16	447983	4591843
S = 308.849 ha		
UTM_WGS_1984		

30

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
წიაღის ეროვნული სააგენტო

KA020187989425018

თბილისი, დავით აღმაშენებლის გაძ'ხ. №150 ფაქსი: +995 32 243 95 02

ბრძანება № 1445/ს

08 / ოქტომბერი / 2018 წ.

„შპს „არ ემ ჯი აურამაინ"-ზე (ს.კ.405168740) გაცემული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების №1004034 ლიცენზიით გათვალისწინებული სასარგებლო წიაღისეულის ათვისების გეგმის დამტკიცების თაობაზე" სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2016 წლის 17 ნოემბრის №1847/ს ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2018 წლის 4 იანვრის №1-1/2 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – წიაღის ეროვნული სააგენტოს დებულების მე-4 მუხლის „ვ" ქვეპუნქტის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2018 წლის 02 ოქტომბრის №04-03/123799 წერილის, ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის 2018 წლის 02 ოქტომბრის №11/7509 წერილის და შპს „არ ემ ჯი აურამაინ"-ის (სააგენტოში შემოსვლის №7720, 15.08.2018წ.) განცხადების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. „შპს „არ ემ ჯი აურამაინ"-ზე (ს.კ.405168740) გაცემული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების № 1004034 ლიცენზიით გათვალისწინებული სასარგებლო წიაღისეულის ათვისების გეგმის დამტკიცების თაობაზე" სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2016 წლის 17 ნოემბრის №1847/ს ბრძანებით დამტკიცებულ დანართი №1-ში შევიდეს ცვლილება და დამტკიცდეს ახალი რედაქციით ამ ბრძანების დანართის შესაბამისად;
2. დაევალოს სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს ლიცენზიერების დეპარტამენტს აღნიშნული ბრძანება კანონით დადგენილი წესით გაეცნოს დაინტერესებულ მხარეს;
3. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში (ქ. თბილისი, სანაპიროს ქ., №2), ამ ბრძანების ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

მაია ზავრაშვილი

31

დანართი №1 (1 გვ.)

2018 წლის "04" 10

„ბექთაქარის" ოქრო-პოლიმეტალურ საბადოზე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების №1004034 ლიცენზიით გათვალისწინებული სასარგებლო წიაღისეულის ათვისების გეგმა

წელი	ასათვისებელი რესურსის ოდენობა Au ოქრო (კგ)	ასათვისებელი რესურსის ოდენობა Ag ვერცხლი (კგ)	ასათვისებელი რესურსის ოდენობა Pb ტყვია (ტ)	ასათვისებელი რესურსის ოდენობა Zn თუთია (ტ)
2018	0.00	0.00	0.00	0.00
2019	810.60	3333.70	1232.22	3087.00
2020	1106.00	3710.50	1393.60	3723.20
2021	553.65	5588.99	1364.55	2788.11
2022	1153.43	11643.73	2842.82	5808.57
2023	1937.77	19561.47	4775.93	9758.40
2024	1937.77	19561.47	4775.93	9758.40
2025	1937.77	19561.47	4775.93	9758.40
2026	1937.77	19561.47	4775.93	9758.40
2027	613.11	6189.20	1511.09	3087.52

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

გარემოს ეროვნული სააგენტო

KA990151059159416

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 1675/ს

19 / ოქტომბერი / 2016 წ.

შპს „კავკასიის სამთო ჯგუფი"-ზე (ს/კ 404908775) სასარგებლო წიაღისეულის (ფერადი, კეთილშობილი, იშვიათი მეტალები და ბარიტი) შესწავლა-მოპოვების მიზნით სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების №1003998 ლიცენზიის ნაწილის შპს „არ ემ ჯი აურამაინ"-ზე (ს/კ 405168740) საკუთრებაში გადაცემისა და „შპს „კავკასიის სამთო ჯგუფი"-ზე სასარგებლო წიაღისეულის (ფერადი, კეთილშობილი, იშვიათი მეტალები და ბარიტი) შესწავლა-მოპოვების მიზნით სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ" სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს უფროსის 2011 წლის 12 ოქტომბრის №13/441 ბრძანებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის პირველის პუნქტის და „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-7^3 მუხლის მე-3^1 პუნქტის, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 10 მაისის №27 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს დებულების მე-3 მუხლის, მე-3 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, "სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის ნაწილისა და გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის გადაცემის შესახებ" შპს „კავკასიის სამთო ჯგუფი"-სა და შპს "არ ემ ჯი აურამაინ"-ს შორის გაფორმებული 06.10.2016წ. ხელშეკრულების, შპს „კავკასიის სამთო ჯგუფი"-სა და შპს „არ ემ ჯი აურამაინ"-ის განცხადებების (№11946 და №11947 06.10.2016წ. №12271 და №12272 17.10.2016წ.) საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ცნობად იქნეს მიღებული, რომ:

ა. შპს „კავკასიის სამთო ჯგუფი"-ზე (ს/კ 404908775), სასარგებლო წიაღისეულის (ფერადი, კეთილშობილი, იშვიათი მეტალები და ბარიტი) შესწავლა-მოპოვების მიზნით, გაცემული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების №1003998 ლიცენზიის ნაწილი (ბექთაქარის ოქრო-პოლიმეტალური საბადო, მოსაპოვებელი წიაღისეული: ოქრო - 11 987,87 (თერთმეტი ათას ცხრაას ოთხმოცდაშვიდი მთელი ოთხმოცდაშვიდი მეასედი) კილოგრამის ოდენობით, ვერცხლი - 108 712 (ას რვა ათას შვიდას თორმეტი) კილოგრამის ოდენობით, ტყვია - 27 448 (ოცდაშვიდი ათას ოთხას ორმოცდარვა) ტონის ოდენობით, თუთია - 57 528 (ორმოცდაჩვიდმეტი ათას ხუთას ოცდარვა) ტონის ოდენობით; ფართობი - 345,7939 ჰა. განსაზღვრულია X და Y კოორდინატების ფარგლებში ამ

ბრძანების დანართი №1-ის შესაბამისად) გადაეცა შპს „არ ემ ჯი აურამაინ"-ს (ს/კ 405168740) 2041 წლის 13 ოქტომბრამდე სარგებლობის უფლებით.

8. შპს „კავკასიის სამთო ჯგუფი"-ზე სასარგებლო წიაღისეულის (ფერადი, კეთილშობილი, იშვიათი მეტალები და ბარიტი) შესწავლა-მოპოვების მიზნით გაცემული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიით გათვალისწინებული სალიცენზიო ფართობი 101 370,1271 ha, განისაზღვროს ამ ბრძანების დანართი №2-ით გათვალისწინებული X და Y კოორდინატების შესაბამისად.

2. დაევალოს შპს „არ ემ ჯი აურამაინ"-ს „შპს „კავკასიის სამთო ჯგუფი"-ზე სასარგებლო წიაღისეულის (ფერადი, კეთილშობილი, იშვიათი მეტალები და ბარიტი) შესწავლა-მოპოვების მიზნით სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ" სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს უფროსის 2011 წლის 12 ოქტომბრის №13/441 ბრძანებით გათვალისწინებული პირობების (მათ შორის ბრძანების პირველი პუნქტის „კ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული შესასრულებელი ვალდებულებების (მისი შინაარსის) გათვალისწინებით) შესრულება, გარდა ბრძანების პირველი პუნქტის „ა", „ბ", „გ", „დ"„ე" „ვ", „ზ", „თ", „ი" , „ო", „უ" ქვეპუნქტებისა და 1^2 პუნქტისა.

3. დაევალოს შპს „არ ემ ჯი აურამაინ"-ს ამ ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემ ორგანოში დასამტკიცებლად წარადგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით);

4. დაევალოს სააგენტოს ლიცენზირების დეპარტამენტს უწყებრივ სალიცენზიო რეესტრში ცვლილების შეტანა შპს „კავკასიის სამთო ჯგუფი"-ზე და შპს „არ ემ ჯი აურამაინ"-ზე სალიცენზიო მოწმობ(ებ)ის გაცემის უზრუნველყოფა ამ ბრძანების შესაბამისად.

5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში (ქ. თბილისი, გულუას ქუჩა 6) ბრძანების ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსი

თამარ ბაგრატია

\

დანართი №1 (1 გვ)

დამტკიცებულია

სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის

2016 წლის "19.10." № 1675/1 ბრძანებით

ბოლნისის, მარნეულის, დმანისის, წალკისა და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტებში, სასარგებლო წიაღისეულის (ფერადი, კეთილშობილი, იშვიათი მეტალები და ბარიტი) შესწავლა-მოპოვების მიზნით გაცემული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის ადგილმდებარეობის შესახებ X და Y კოორდინატები

ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ბექთაქარის ოქრო-პოლიმეტალური საბადოს მიწისქვეშა სამთო მინაკუთვნის კონტურის კუთხეთა წვეროს კოორდინატები		
№	X	Y
1	447922	4592220
2	449689	4592231
3	449755	4590171
4	448689	4590156
5	448194	4590988
6	448243	4591164
7	448000	4591200
8	447919	4591073
9	447731	4590983
10	447613	4591450
S = 345,7939 ჰა		
UTM WGS_1984		

ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ბექთაქარის ოქრო-პოლიმეტალური საბადოს მიწის მინაკუთვნის კონტურის კუთხეთა წვეროს კოორდინატები		
№	X	Y
1	447922	4592220
2	449689	4592231
3	449755	4590171
4	448689	4590156
5	448194	4590988
6	448243	4591164
7	448000	4591200
11	448058	4591475
12	448144	4591560
13	448034	4591673
14	448256	4591798
15	448183	4591921
16	447983	4591849
S = 309,849 ჰა UTM_WGS_1984		

№ 18
Date 28.02.2020

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის სამინისტროს

ბატონო / ქალბატონო,

გაცნობებთ, რომ 2019 წლის 21 მარტის N17 განცხადებით, შპს ,,არ ემ ჯი აურამაინ"-ის მიერ წარმოდგენილი იქნა შპს ,,არ ემ ჯი აურამაინის" ბერთაკარის ოქრო-პოლიმეტალური საბადოს ტერიტორიაზე, 17800 მ³ რეზერვუარ-სალექარის ექსპლუატაციის პროექტის სკოპინგის ანგარიში, რომელზედაც საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 24 ოქტომბრის N2-1010 ბრძანებით გაცემულ იქნა შპს ,,არ ემ ჯი აურამაინის" ბერთაკარის ოქრო-პოლიმეტალური საბადოს ტერიტორიაზე, 17800 მ³ რეზერვუარ-სალექარის ექსპლუატაციის პროექტის სკოპინგის დასკვნა N103 (17.10.2019).

2019 წლის 24 ოქტომბრის N2-1010 ბრძანების საფუძველზე და სკოპინგის დასკვნის N103 (17.10.2019) შესაბამისად (შენიშვნების გათვალისწინებით) მომზადებული იქნა ბექთაქარის ოქრო-პოლიმეტალური საბადოს მიმდებარე ტერიტორიაზე 17800 მ³ მოცულობის რეზერვუარი-სალექარის ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში."

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე - 10 და მე - 11 მუხლების საფუძველზე წარმოგიდგენთ „შპს ,,არ ემ ჯი აურამაინის" ბექთაქარის ოქრო-პოლიმეტალური საბადოს მიმდებარე ტერიტორიაზე 17800 მ³ მოცულობის რეზერვუარი-სალექარის ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს" და გთხოვთ კანონით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად და ვადების ფარგლებში გასცეთ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

წინამდებარე განცხადებას თან ერთვის საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით" გათვალისწინებული საჭირო დოკუმენტაცია.

28.02.20

#1 M.Aleksidze St., 3 lane, 0193 Tbilisi, Georgia
Tel: (+995 32) 247 45 45
Email: info@richmetalsgroup.com
Web: www.richmetalsgroup.com

თბილისი 0193, მ. ალექსიძის ქ. #1 მე - 3 შესახვევი
ტელ: +995 32 247 45 45
ელ - ფოსტა: info@richmetalsgroup.com
ვებ - გვერდი: www.richmetalsgroup.com

დანართები:

1. შპს „არ ემ ჯი აურამაინ"-ის ბეთანიის ოქრო-პოლიმეტალური საბადოს მიმდებარე ტერიტორიაზე 17800 მ³ მოცულობის რეზერვუარი-სალექარის ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში - 2 ეგზემპლარი ნაბეჭდი და ელექტრონული ვერსია (1 CD);

2. შპს „არ ემ ჯი აურამაინ"-ის ბეთანიის ოქრო-პოლიმეტალური საბადოს მიმდებარე ტერიტორიაზე 17800 მ³ მოცულობის რეზერვუარი-სალექარის ექსპლუატაციის პროექტის არატექნიკური რეზიუმე - 1 ეგზემპლარი ნაბეჭდი და ელექტრონული ვერსია (1 CD);

3. საქმიანობის განხორციელების ადგილის ფოტოგრაფიული გეგმა - 1 ეგზემპლარი ნაბეჭდი და ელექტრონული ვერსია (1 CD);

3. GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით (shp-ფაილთან ერთად);

4. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გზშ-ის მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი;

5. საჯარო რეესტრიდან ამონაწერი

პატივისცემით,

შპს „არ ემ ჯი აურამაინ"-ის

გენერალური დირექტორი

თორნიკე ლიპარტია